

# სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია

ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა  
და ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში

ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2

## სატენდერო დოკუმენტაცია

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურება

(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი)  
CPV – 66500000 -

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე. იხ. <http://procurement.gov.ge/>

ქ. ახალციხე

დეკემბერი 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია -----	3
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	9
4. დანართი №1 - პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი რეკვიზიტების ჩამონათვალი ---	24
5. დანართი №2 – გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (პრეისკურანტი) -----	25

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება)

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.8 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით.

1.9 შესყიდვის პროცედურების შესახებ ინფორმაციისა და განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქალაქი ახალციხე, შ. ახალციხელის ქუჩა №2, მე-3 სართული.

საკონტაქტო პირი: ელგუჯა გოგოლაძე, ტელ: 591 918991.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

### 2.1 პრეტენდენტის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაცია როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი №1-ის შესაბამისად, ავტომატური დაზღვევის მომსახურების ფასების ცხრილი დანართი №2-ის მიხედვით.

ბ) სადაზღვევო საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია;

გ) ინფორმაცია უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დამადასტურებელი ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ (ბოლო სამი წლის განმავლობაში 2014, 2015, 2016 წლების, ორგანიზაციების და თანხების მითითებით).

## **2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და პირობები,**

### **ავტომანქანების (9 ერთეული) სრულ დაზღვევას, რომელიც მოიცავს:**

- 2.2.1 ავტომობილის გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი;
- 2.2.2. ავტომობილის ან მისი ნაწილების დაზიანებას ან განადგურებას (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებებით (მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, სეტყვით) ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
- 2.2.3. ავტომობილის კომპლექტაციაში არსებული ნებისმიერი დეტალის (ან/და დამატებითი აღჭურვილობის), მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა;
- 2.2.4. სადაზღვევო შემთხვევის დროს ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები (24 საათიანი ასისტანსი).
- 2.2.5. ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში გამოყვანასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 2.2.6. უფლებამოსილი მძღოლების და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან (წლიური ჯამური ლიმიტი არანაკლებ 10000 (ათიათასი) ლარი ჯამურად, სუბლიმიტი ერთ პირზე არანაკლებ 2000 (ორიათასი) ლარი) დაზღვევა - ფრანშიზა 0%;
- 2.2.7. უფლებამოსილ მძღოლად ითვლება შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ყველა მოქმედი თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს;
- 2.2.8. მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევას - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა ანაზღაურებს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი (წლიური ჯამური ლიმიტი არანაკლებ 10000 (ათიათასი) ლარი - ფრანშიზა 0%. ამასთან თუ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანომობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება, დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას დაექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის.);
- 2.2.9. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, თუ ამგვარი ზიანის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;
- 2.2.10. არა უმეტეს 3 წლის წლოვანების ავტოტრანსპორტის ზარალის შეფასება და მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ავტომანქანის მწარმოებელი ფირმის ავტორიზებულ სერვის ცენტრებში, ხოლო 3 წლის ზევით ავტოტრანსპორტის ზარალის შეფასება და მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს მხარეთა შორის შეთანხმებულ სერვის ცენტრში.
- 2.2.11. ავტოსატრანსპორტო დაზღვევა ნულოვანი ფრანშიზით;
- 2.2.12. ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს, სრული განადგურების შემთხვევაში იდენტური დაუზიანებელი მოძრავი ნივთის დამზღვევისათვის გადაცემისთანავე, დაზიანებული მოძრავი ნივთი საკუთრებაში გადაეცემა მზღვეველს.
- 2.2.13. ავტოტრანსპორტის სრულ დაზიანებამდე (განადგურება) ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია ავტომანქანის 70% ან მეტი;
- 2.2.14. დაზღვევის მოქმედების არეალია საქართველოს ტერიტორია.

## **2.3. ანაზღაურების გამონაკლისები ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:**

- 2.3.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შეჯიბრების დროს;
- 2.3.2. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეულ ავტოტრანსპორტში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;

- 2.3.3. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- 2.3.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;
- 2.3.5. უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე;
- 2.3.6. შემთხვევაზე 21 წელზე ნაკლები ასაკის მძღოლის ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;
- 2.3.7. შემთხვევაზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისათვის ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;
- 2.3.8. შემთხვევებზე ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;
- 2.3.9. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
- 2.3.10. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:
- იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;
  - რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;
- 2.3.11. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით - სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- 2.3.12. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, ფაქტის აღმოჩენიდან 24 საათში თუ არ მოხდება მიმწოდებელთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება;
- 2.3.13. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას, გარდა იმ შემთხვევისა თუ შემსიდეველის მიერ წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოებიდან დოკუმენტი რომელიც ადასტურებს საჯარიმო სადგომზე გადაყვანაზე პასუხისმგებელი პირის ბრალეულობას დაზღვეული ავტომანქანის დაზიანებასთან მიმართებაში;
- 2.3.14. თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ შემსყიდველს არ წარუდგენია მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინება;
- 2.3.15. ზარალზე, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით;
- 2.3.16. ზარალზე და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით;
- 2.3.17. ნებისმიერი სახის ზარალს ან დაზიანებას, რომელიც წარმოიშვა იმ შემთხვევებში, როცა:
- ა) დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა ნებისმიერი პიროვნება, უფლებამოსილი მძღოლის გარდა;
  - ბ) უფლებამოსილი მძღოლი მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების სიმთვრალის მდგომარეობაში;
  - გ) ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა მისი ტვირთის სახით გადატანისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადატანა ხდება ევაკუატორით, შემთხვევის შემდეგ, მზღვეველის მითითების საფუძველზე;
  - დ) ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა სამხედრო მიზნებისათვის.
  - ე) დაზღვეული განზრახ მოახდენს ინფორმაციის გაყალბებას, რაიმე სარგებელის მიღების მიზნით;
- 2.3.18. ზიანზე, რომლის დადგომის დროს დამზღვევის მიერ დარღვეულია სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები;
- 2.3.19. ზარალს, რომელიც წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

2.3.20. ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისას ან/და ამის მცდელობისას;

2.3.21. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, საზოგადოებრივი არეულობით, აჯანყებით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით;

2.3.22. *ყველა შემთხვევა, რომელიც არ არის ასახული ანაზღაურების გამონაკლისებში ცალსახად ექვემდებარება ანაზღაურებას.*

#### **2.4. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვეო ანაზღაურების გაცემა:**

2.4.1. ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან (ხარჯთაღრიცხვა) არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში მზღვეველმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა შედგეს სადაზღვეო შემთხვევის აქტი და აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უნდა მოხდეს სადაზღვეო ანაზღაურების გაცემა;

2.4.2. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და შესაბამისად არ საჭიროებს საგამომიებო ღონისძიებების გატარებას, ზარალი უნდა დარეგულირდეს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში და სადაზღვეო ანაზღაურება უნდა გაიცეს არაუგვიანეს ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღებიდან და სადაზღვეო შემთხვევის შესახებ აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4.3. ავტოტრანსპორტის დაზიანებისას ზიანის ოდენობა დაანგარიშდება მზღვეველის ექსპერტის მიერ შედგენილი და/ან დაზღვეულის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე. ზიანის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელსაც ის მზღვეველთან შეთანხმებით გაიღებს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისათვის უახლოეს სარემონტო ადგილამდე, თუ დაზიანებულ ავტოტრანსპორტს დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლება.

2.4.4. ავტოტრანსპორტის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურებისას სადაზღვეო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვეო თანხის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ავტომობილის საბაზრო ღირებულების;

2.4.5. ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70 %-ს ან მეტს შეადგენს.

2.4.6. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვეო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, სადაზღვეო პოლისი, შესაბამის ავტოტრანსპორტთან მიმართებაში გაუქმდება და სადაზღვეო თანხა შემსყიდველის მიერ დარჩენილ პერიოდზე არ გადაიხდება;

2.4.7. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებას ექვემდებარება თანხა, რომლის გადახდასაც დაზღვეულს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

2.4.8. სადაზღვეო შემთხვევის შემდგომ, სადაზღვეო თანხა შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით.

2.4.9. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მომსახურების გასაწევ ობიექტებს გაეცნონ ადგილზე, ქალაქ ახალციხე შ. ახალციხელის ქ №2.

2.4.10. *დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ყველა თანამშრომელს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა და რომლის ასაკი აღემატება 21 წელს.*

2.4.11. პრეტენდენტს უფლება აქვს სატენდერო წინადადებით წარმოადგინოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური გამონაკლისების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სადაზღვეო მომსახურების გაწევისას.

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **9000,00 (ცხრაათასი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

**2.5 დასაზღვევი ავტომანქანების ჩამონათვალი**

№	ავტომანქანის მარკა, მოდელი	სახ. №	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო №	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	დაზღვევის პერიოდი
1	MERCEDES BENZ G500. 5.0 ბენზინი, ავტომატიკა	RR707SS	2002	WDCYR49E93X135884	13200	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
2	TOYOTA „CAMRY“, 2,4 ბენზინი, ავტომატიკა	QQG 077	2010	JTNBE40K603205738	19680	
3	TOYOTA LANDCRUIZER-100, 4,5 ბენზ, ავტომატ.	HBH 040	2001	JTEHJ09J915017746	9072,81	
4	SKODA OCTAVYA, 1,8 ბენზინი, მექანიკა	AA125CC	2013	TMBAD4NE6D0024622	22946,63	
5	SKODA OCTAVYA, 1,8 ბენზინი, მექანიკა	AA126CC	2013	TMBAD4NE5D0035238	22946,63	
6	SKODA OCTAVYA, 1,8 ბენზინი, მექანიკა	AA138CC	2013	TMBAD4NE1D0035219	22946,63	
7	SUZUKI SX4 S-Cross 1,6 ბენზინი, ავტომატიკა	AF885FA	2014	TSMJYB22S00189556	24790	
8	FORD FOCUS, 1,6 ბენზინი, ავტომატიკა	XLX 010	2005	WFOTD34L46VR86455	630	
9	NIVA „ვაზ21214“, 1,7 ბენზინი, მექანიკა	ZJZ 919	2007	XTA21214071848891	3814,50	
<b>სულ:</b>					<b>140027.20</b>	

**2.6** ავტოტრანსპორტის სრული განადგურების ან გატაცების შემთხვევაში, მიმწოდებელი, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, აუნაზღაურებს შემსყიდველს/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას შემდეგი წესით:

- მიმწოდებელი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებისა, ან:
- მიმწოდებელი შემსყიდველის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს;

**3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი:**

- 3.1. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი;
- 3.2. დაზღვევის მოქმედების არეალი: საქართველო.

**4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების წესი:**

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით თვეში ერთხელ გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

**5. ანგარიშსწორების პირობები:**

- 5.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;
- 5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 5.3. წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების პირობები არ გამოიყენება.
- 5.4. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, 2017 წლის სახსრები.
- 5.5. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

## **6. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება:**

იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-11 – მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

## **7. დამატებითი ინფორმაცია:**

*სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: აპარატის წევრი - ელგუჯა გოგოლაძე, ტელ: 591 918991; ელ. ფოსტა: [guja.gogoladze@gmail.com](mailto:guja.gogoladze@gmail.com)*



ხელშეკრულება № ----  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული იქნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. ახალციხე

----- 2017 წელი

ერთი მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში, წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აკაკი მაჭუტაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, ----- წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში“ SPA ----- გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
- 1.3. „შემსყიდველი“ – (შემდგომ „დამზღვევი“) ორგანიზაცია(დაწესებულება), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესყიდვას, მასთან ანგარიშსწორებას და ხელშეკრულების შესრულების კონტროლს
- 1.4. „მიმწოდებელი“ (შემდგომ „მზღვეველი“ - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ - SPA-----გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;
- 1.8. სადაზღვევო შემთხვევა - მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად;
- 1.9. სადაზღვევო თანხა - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობები;
- 1.10. სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;
- 1.11. სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;
- 1.12. ფრანშიზა - შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი;
- 1.13. სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა) - კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;
- 1.14. სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 1.15. დაზღვევის განაცხადი - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები;

1.16. უფლებამოსილი მძღოლი - შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ყველა მოქმედი თანამშრომელი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს;

1.17. დაზღვევის საგანი - კონკრეტული ავტოტრანსპორტი, მითითებული შემსყიდველის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე გაცემულ შესაბამის სადაზღვევო პოლისში და დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი შემსყიდველის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

1.18. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება) - სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს;

1.19. ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

1.20. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

2.21. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

1.22. მოსარგებლე - პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.23. დაზღვევის ტერიტორია - საქართველო.

1.24. აქსესუარები - წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის აქსესუარებად მოიაზრება ავტომანქანის ისეთი დეტალები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ დიზაინის ელემენტის ფუნქციით შემოიფარგლება, კერძოდ კი: სამარკო ემბლემა და კანტები;

*წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.*

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ერთეულოვანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA-----) ტექნიკური დავალების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის სარგებლობაში არსებული 9 (ცხრა) ერთეული ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის CPV კოდი 66514110) (შემდგომში - „მომსახურება“),

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა და პირობები მოცემულია დანართი №---, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას და წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №---), რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.4. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, 2017 წლის სახსრები.

## 4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და კვალიფიციური;

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ჩარიცხვის გზით.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და თანმდევნი დოკუმენტაციის წარდგენიდან (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

## **6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

6.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოს მასშტაბით.

6.2. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ხელშეკრულების მოქმედების მთელს პერიოდში ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში (დასვენებისა და უქმე დღეების ჩათვლით), ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. მომსახურების მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, თვეში ერთხელ, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი “მიღება - ჩაბარების აქტი”.

## **8. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **8.1. მზღვეველი ვალდებულია:**

8.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

8.1.2. მომსახურების ფარგლებში უზრუნველყოს შემდეგი რისკების დაზღვევა:

ა) ავტოსაგზაო შემთხვევა - ფრანშიზა: შემსყიდველის წარმომადგენლის ბრალეულობით ზარალის 0%; მესამე პირის ბრალეულობის შემთხვევაში 0%;

ბ) სხვადასხვა სახის ქმედება - ქურდობა, გატაცების მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი, სხვადასხვა საგნების ვარდნა, თვითააღება, მოულოდნელი მოვლენა (რომელმაც გამოიწვია დაზიანება), ცხოველის ზემოქმედება, ხანძარი, აფეთქება, - ფრანშიზა 0%;

გ) სტიქიური უბედურებები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, ღვარცოფი, ჰაერის მასების მოძრაობა, სეტყვა, მიწისძვრა - ფრანშიზა 0%;

დ) თითოეულ ავტომობილზე მინების, სარკეების, აქსესუარებისა და სხვა დეტალების დაზიანება ან/და ქურდობა - ფრანშიზა 0%;

ე) სადაზღვევო შემთხვევის დროს ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები (24 საათიანი ასისტანსი);

ვ) არა უმეტეს 3 წლის წლოვანების ავტოტრანსპორტის ზარალის შეფასება და მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ავტომანქანის მწარმოებელი ფირმის ავტორიზებულ სერვის ცენტრებში, ხოლო 3 წლის ზევით ავტოტრანსპორტის ზარალის შეფასება და მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს მხარეთა შორის შეთანხმებულ სერვის ცენტრში;

ზ) მესამე პირთაწინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - შემსყიდველის (დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლების) პასუხისმგებლობა ანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი - წლიური ჯამური ლიმიტი ავტომობილზე - 10000 ლარი, ფრანშიზა - 0%;

თ) მძღოლისა და მგზავრთა უბედური შემთხვევისგან დაზღვევა - ზარალი, რომელიც დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას, ავარიის შედეგად, მიაღწა მძღოლს და/ან მგზავრებს (გარდაცვალება, სხეულის დაზიანება) - წლიური ჯამური ლიმიტი ავტომობილზე - 10000 ლარი, ფრანშიზა - 0%;

8.1.3. მიიღოს შემსყიდველის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

**8.1.4. აცნობოს შემსყიდველს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულების 10.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების მიღების შესახებ ინფორმაცია მიღებიდან 2 დღის ვადაში;**

8.1.5. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით: კერძოდ, ანაზღაურებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი, ხოლო სადაზღვევო აქტის ორივე მხარის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის, უფლებამოსილი მძღოლის, (მოსარგებლის) ან მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

8.1.6. თუ დამზღვევესა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს - კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის

/უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მზღვეველისათვის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

8.1.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც ამ უკანასკნელის არსებობა ეჭვს არ იწვევს და არ საჭიროებს საგამომებო ღონისძიებების გატარებას, დაარეგულიროს ზარალი არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღებიდან, ზარალის დაანგარიშებიდან და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.1.8. უზრუნველყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანომობილით ტრანსპორტირება შესაბამის ლიცენზირებულ კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველაწარმოადგინოს ხარჯის ანაზღაურება დაზღვეულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე.

8.1.9. უზრუნველყოს 24 საათიანი სატელეფონო ასისტანსი;

8.1.10. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მოვალეობები.

## 8.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

ბ) ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და შეწყვეტამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ შემსყიდველის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია;

გ) გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

დ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

ე) სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

ვ) მოახდინოს დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;

ზ) შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;

ი) არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კ) მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება და პირდაპირი მფლობელობა (პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა უნდა მოხდეს მზღვეველის მიერ მითითებული ადგილას) სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას – განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე (მის ნაწილებზე) საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის (მისი ნაწილების) რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის (მისი ნაწილების) რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასწარ ათანხმებს მზღვეველთან. დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას;

ლ) იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილების / განადგურებულ ავტოტრანსპორტის მზღვეველისათვის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა არ ხერხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით ობიექტური მიზეზების გამო (რაც არ არის დაკავშირებული დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) და მხარეები არ შეთანხმებულან დამზღვევის მიერ შეცვლილი ავტოტრანსპორტის ნაწილების / განადგურებული ავტოტრანსპორტის რეალიზაციაზე, ან/და განადგურებულ ავტომანქანაზე რეგისტრირებულია სამართლებრივი აკრძალვა/შეზღუდვა ან/და გირავნობის უფლება ან/და

არსებობის სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მზღვეველზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გადმოსვლას, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით შეცვლილი ავტოტრანსპორტის ნაწილების/ განადგურებული ავტოტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოითხოვოს შეცვლილი ავტოტრანსპორტის ნაწილების/ განადგურებული ავტოტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულების ანაზღაურება დამზღვევისაგან.

მ). არ ანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმატება სადაზღვევო ღირებულებას;

ნ) თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევეს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოიქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა.

### 8.3. დამზღვევი ვალდებულია:

ა) განუხრელად დაიცვას წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით;

გ) დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

დ) დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ. ავტოტრანსპორტის გასხვისება, ავტოტრანსპორტის გაუმჯობესება სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის მომენტიდან;

ე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, უზრუნველყოს შეტყობინების გაკეთება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით;

ვ) მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად.

ზ) მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში; გარდა იმ შემთხვევისა, აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ და მზღვეველი მხოლოდ ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება;

თ) გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

ი) დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

კ) საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში;

ლ) დაუყონებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

მ) მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება დამზღვევთან შეთანხმებით შეამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა;

ნ) ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

ო) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

პ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი მოძრავ ნივთს, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზიანდა, მზღვეველს საკუთრებაში გადასცემს:

ა) მის მიერ მოძრავი ნივთის ღირებულების ანაზღაურების დროისათვის ამ მოძრავი ნივთის იდენტური დაუზიანებელი მოძრავი ნივთის ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) დაზიანებული მოძრავი ნივთის იდენტური დაუზიანებელი მოძრავი ნივთის მიღების შემდეგ, თუ სადაზღვევო ანაზღაურება მოძრავი ნივთის მზღვეველთან გადაირიცხება.

დაფაროს საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ის ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული თანხა დააკლდება მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გასაცემ თანხას;

#### 8.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- ა) განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
- ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით;
- გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

#### 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

- 9.1. დამზღვევს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულების კონტროლი.
- 9.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ დამზღვევის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ი.
- 9.3. კონტროლი გულისხმობს მზღვეველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.
- 9.4. მზღვეველი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

#### 10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები

- 10.1. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ან/და დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენებისთანავე, შესაბამისი შეტყობინების განხორციელების მიზნით, დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა უნდა დაუკავშირდეს მზღვეველის საინფორმაციო ქოლ-ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შეტყობინების შესახებ;
- 10.2. მზღვეველის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ, შემთხვევის ადგილზე უნდა გამოცხადდეს დამზღვევის წარმომადგენელი, თუკი ეს გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 1 საათი ან მეტი, მაშინ დამზღვევის უფლებამოსილია არ დაელოდოს მზღვეველის წარმომადგენლის გამოცხადებას და გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან, თუმცა მასზე რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან იქნას აცილებული ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა;
- 10.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთების მზღვეველისათვის წარდგენა:
  - განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
  - სადაზღვევო პოლისის ასლი;
  - საპატრულო პოლიციის ოქმის შესაბამისად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - მძღოლების ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
  - მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;
  - ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი;
  - მძღოლის სიფხიზლის შესახებ ცნობა; (იმ შემთხვევაში თუ საპატრულო ოქმში არ იქნა დაფიქსირებული);
  - თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეულია მესამე პირის ქმედებით, მიმწოდებელს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუ აღნიშნული ინფორმაცია შემსყიდველისათვის ხელმისაწვდომია;
- 10.4. 10.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტების მზღვეველისთვის წარდგენას უზრუნველყოფს დამზღვევი. ასევე შესაძლებელია დოკუმენტების მოძიება განახორციელოს თავად მზღვეველმა, დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის შესაბამისი მინდობილობის მინიჭების გზით;
- 10.5. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუკავშირდეს დაზარალებულ მესამე პირს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია. თუ მესამე პირის მიერ ასეთი დოკუმენტები არ იქნება წარმოდგენილი მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დოკუმენტების მიმწოდებლისათვის წარდგენის ვალდებულება გადადის შემსყიდველზე, რომელიც ზიანის ანაზღაურების მიზნით აწვდის მიმწოდებელს მოთხოვნილ დოკუმენტაციას. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან;
- 10.6. იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტს გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს დამზღვევის განაცხადში, დამზღვევს (დაზღვეულს) ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები შეინახოს საიმედო ადგილას, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას

ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს დაზღვევის განაცხადში მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო მარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში - სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთის მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი, ასევე იტოვებს უფლებას, მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.

10.7. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

10.8. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ფარავს მზღვეველი;
- იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ფარავს დამზღვევი;
- იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევი ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

ავტოტრანსპორტის სრული განადგურების ან გატაცების შემთხვევაში, მზღვეველი, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, აუნაზღაურებს დამზღვევს/მოსარგებელს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით, კერძოდ: სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი წესით:

- მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბალანსო ღირებულებისა, ან:
- მზღვეველი დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს.

10.9. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მიმწოდებელი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე პირობების მიხედვით სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;

10.10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

- დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული ხარჯები;
- მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მიმწოდებელთან შეთანხმებული;
- დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვით მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

10.11. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

- მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:
  - ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა;
  - დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
  - ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);
- თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან ალდგენითი ღირებულების ოდენობა, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;

- ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

10.12. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

10.13. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

10.14. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას;

10.15. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:

- პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს;

ან

- დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;

- დაზღვეულის ხელქვეითს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.

10.16. სადაზღვევო ანაზღაურების გაიცემა წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ პირობებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში;

10.17. თუ შემსყიდველსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მიმწოდებელი ანაზღაურებს ზარალს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (დაზღვეულის /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მზღვეველისათვის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

## 11. დაზღვევის პირობები

ავტოტრანსპორტის, მისი მინების, სარკეების, დამატებითი აღჭურვილობის და სხვა დეტალების გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული ნაწილობრივი დაზიანება ან სრული განადგურება, რაც გამოწვეულია შემდეგით: ავტოსაგზაო შემთხვევა, ხანძარი,, თვითააღება, მეხის დაცემა ან/და აფეთქება, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, რაიმე საგნის დაცემა; სტიქიური უბედურებები (წყალდიდობის, მიწისძვრისა და სეტყვის ჩათვლით) ან უბედური შემთხვევა (მოულოდნელი მოვლენა რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით); დაზღვევის საგნის, მისი მინების, სარკეების, დამატებითი აღჭურვილობის და სხვა დეტალების გატაცება, გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), გარდა წინამდებარე პირობებში მითითებული გამონაკლისებისა

11.1. მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზისა და წინამორბედ შემთხვევებზე (ასეთის არსებობისას) გაცემული თანხების (ანაზღაურების) გამოკლებით, ავტოტრანსპორტის გატაცების ან გატაცების მცდელობის (კერძოდ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის) დროს ან იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან მისი ნაწილების დაზიანება ან განადგურება გამოწვეულია შემდეგით:

ა) ავტოსაგზაო შემთხვევა;

ბ) ხანძარი, აფეთქება, თვითააღება, მეხის დაცემა;

გ) მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, რაიმე საგნის დაცემა.

დ) სტიქიური უბედურებები (წყალდიდობის, მიწისძვრისა და სეტყვის ჩათვლით) ან უბედური შემთხვევა (მოულოდნელი მოვლენა რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);

11.2. ავტოტრანსპორტის განადგურების ან გატაცების შემთხვევაში, მზღვეველი მხარეთა შეთანხმების შესაბამისად აუნაზღაურებს დამზღვევეს/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის ალდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბალანსო ღირებულებისა, ან:



ბ) მზღვეველი დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს.

11.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში.

11.4. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და წინამდებარე პირობების შესაბამისად, მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ ზარალის შეფასება ხდება ერთობლივად, მხარეთა წარმომადგენლების მიერ, კერძოდ: ან დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს იმ ხარჯების ჩამონათვალს, რომლებიც საჭირო იქნება ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად (აღსადგენად), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ დაეთანხმება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განახორციელებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას ამორტიზაციისა თუ სხვა არსებით გარემოებათა გათვალისწინებით; ან მზღვეველი თავად წარუდგენს დამზღვევს მზღვეველის უფლებამოსილი ექსპერტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას. ამასთან, დამზღვევის მოთხოვნა შესაბამის ავტორიზებულ ავტო-ცენტრში მომსახურეობის მიღების თაობაზე მზღვეველის მიერ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანის ხნოვანება არ აღემატება 3 (სამ) წელს. ამასთან, თუ ავტოტრანსპორტის ხნოვანება 3 წელს არ აღემატება და დამზღვევი მოითხოვს, მისი აღდგენა განხორციელდეს კონკრეტულ ავტო-ცენტრში და/ან აღდგენითი ღირებულება განისაზღვროს კონკრეტული ავტო-ცენტრის პუნქტის მიერ, მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის/მოსარგებლის სასარგებლოდ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება გადაურიცხოს უშუალოდ ასეთ ავტო-ცენტრს. სამ წელზე მეტი ხნოვანების ავტოტრანსპორტის შეფასება და მომსახურეობის გაწევა განხორციელდება მხარეთა შორის ერთობლივად შეთანხმებულ შემკეთებელ საწარმოში. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბურავის დისკი ისე, რომ არსებული დაზიანებები ხელს არ უშლის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო ექსპლუატაციას, მზღვეველი ანაზღაურებს დაზიანებული დისკის შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

11.5. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელიც არის მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველი და რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე. სადაზღვევო შემთხვევის აქტს ხელს აწერს, როგორც მზღვეველი, ისე- დამზღვევი.

11.6. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაწილობრივი დაზიანებისას მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯებს, ამასთან, სრული განადგურებისას, შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯების მზღვეველის მიერ გაღების შემთხვევაში, ასეთი ხარჯები დააკლდება გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას.

11.7. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

11.8. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულებაზე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.

11.9. ქურდობის (ან მისი მცდელობის) შედეგად ავტომანქანის ნაწილების დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში, შეფარდებული იქნება ის ფრანშიზა (არაანაზღაურებადი მინიმუმი), რომელიც გათვალისწინებულია ქურდობის რისკისათვის, თუ შესაბამის სადაზღვევო პოლისში განსხვავებული ფრანშიზა არ არის საგანგებოდ გათვალისწინებული ნაწილობრივი ქურდობის რისკისათვის.

11.10. სრული განადგურების ან გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა.

11.11. მზღვეველი, სადაზღვევო პერიოდში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებს.

**11.12. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მზღვეველი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე პირობების მიხედვით სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში;**

**11.13.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

- ა) დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული ხარჯები;
- ბ) მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;
- გ) დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

**11.14.** სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

11.14.1. მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

- ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა;
- ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
- გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

11.14.2. თუ მესამე პირ(ებს) ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობა, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;
- ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

**11.15.** სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

**11.16.** ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

**11.17.** მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას;

**11.18.** გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:

- ა) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს; ან
- ბ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;
- გ) დაზღვეულის ხელქვეითს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმავრებული ნებისმიერი მისაბმელით.

**11.19. - უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან**

11.19.1. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;

11.19.2. მზღვეველი აუნაზღაურებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ პირობების მიხედვით.

11.19.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ დაზარალებულზე (ერთ პირზე) პოლისით განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
- საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს;
- საავადმყოფოში მკურნალობის და ყოფნის ხარჯებს;
- კიდურების/ორგანოების დაკარგვისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას;

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს აუნაზღაურდებათ:

ერთ პირზე მიმდინარე განსაზღვრული ლიმიტის 100%, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით; დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, ანაზღაურების მიმდების არ არსებობის შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს, ერთ პირზე განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში.

11.19.4. გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და დაზარალებული პირის უახლოეს საავადმყოფოში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო ქვითრების საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) აშშ დოლარისა ერთ პირზე;

11.19.5. საავადმყოფოში მკურნალობაზე გონივრულად გაწეული, საავადმყოფოს ანგარიშ-ფაქტურის მეშვეობით დასაბუთებული ხარჯები, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე დადგენილი პასუხისმგებლობის ლიმიტის 20 %-სა.

11.19.6. კიდურის/ორგანოს დაკარგვისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოითვლება ქვევით მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტს ერთ პირზე (დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის/ტრანსპორტირებისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით):

- ერთი თირკმლის დაკარგვა – 40%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა – 15%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა, თუ მეორეში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული – 45%;
- ერთ თვალში მხედველობის სრული და სამუდამო დაკარგვა – 30%;
- მხედველობის 60%-ზე მეტით დაკარგვა ერთ თვალში – 20%;
- მხედველობის სრული დაკარგვა – 100%;
- ერთი კიდურის დაკარგვა – 40%;

11.19.7. რამოდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ, ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება პასუხისმგებლობის ლიმიტის დარჩენილი თანხიდან.

11.19.8. კიდურების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა ხორციელდება საავადმყოფოში მკურნალობის დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოო განსაზღვრის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ 1 წლის შემდეგ ორგანოს ფუნქციის მოშლის მომენტიდან, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში დადასტურდება ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა; აღნიშნული ერთწლიანი პერიოდი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა იმთავითვე დადასტურებულია.

11.20.9. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებული პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

11.20.10. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა ერთ პირზე, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ ქვე-ლიმიტს ერთ პირზე;

11.20.11. ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ლიმიტს.

11.20.12. არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

## 12. ანაზღაურების გამონაკლისები ვრცელდება:

- 12.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შეჯიბრების დროს;
- 12.2. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეულ ავტოტრანსპორტში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;
- 12.3. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- 12.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;
- 12.5. უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, გამოწვეული არის იმ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით, რომლის გამოც, დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი და სრული განადგურების რისკზე;
- 12.6. შემთხვევაზე 21 წელზე ნაკლები ასაკის მძღოლის ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;
- 12.7. შემთხვევაზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისათვის ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;
- 12.8. შემთხვევებზე ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;
- 12.9. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
- 12.10. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:
- იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;
  - რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;
- 12.11. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- 12.12. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, ფაქტის აღმოჩენიდან 24 საათში თუ არ მოხდება მიმწოდებელთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება;
- 12.13. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას, გარდა იმ შემთხვევისა თუ შემსიდეველის მიერ წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოებიდან დოკუმენტი რომელიც ადასტურებს საჯარიმო სადგომზე გადაყვანაზე პასუხისმგებელი პირის ბრალეულობას დაზღვეული ავტომანქანის დაზიანებასთან მიმართებაში;
- 12.14. თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ შემსყიდველს არ წარუდგენია მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინება;
- 12.15. ზარალზე, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით;
- 12.16. ზარალზე და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით;
- 12.17. ნებისმიერი სახის ზარალს ან დაზიანებას, რომელიც წარმოიშვა იმ შემთხვევებში, როცა:
- ა) დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა ნებისმიერი პიროვნება, უფლებამოსილი მძღოლის გარდა;
  - ბ) უფლებამოსილი მძღოლი მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების სიმთვრალის მდგომარეობაში;
  - გ) ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა მისი ტვირთის სახით გადატანისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადატანა ხდება ევაკუატორით, შემთხვევის შემდეგ, მზღვეველის მითითების საფუძველზე;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა სამხედრო მიზნებისათვის;

ე) დაზღვეული განზრახ მოახდენს ინფორმაციის გაყალბებას, რაიმე სარგებელის მიღების მიზნით;

12.18. ზიანზე, რომლის დადგომის დროს დამზღვევის მიერ დარღვეულია საადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები;

12.19. ზარალს, რომელიც წარმოიშვა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

12.20. ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისას ან/და ამის მცდელობისას;

12.21. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, საზოგადოებრივი არეულობით, აჯანყებით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით;

12.22. ყველა შემთხვევა, რომელიც არ არის ასახული ანაზღაურების გამონაკლისებში ცალსახად ექვემდებარება ანაზღაურებას.

### 13. რეგრესის წესი:

13.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა საადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) საადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის;

13.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს საადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

### 14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

14.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

14.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

14.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

14.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% პროცენტის ოდენობით.

14.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამზღვევისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **16. ხელშეკრულების შეწყვეტა**

16.1 მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება, მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მზღვეველს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამზღვევის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მზღვეველს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ დამზღვევისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მზღვეველს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **17. ფორს-მაჟორი**

17.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში;

17.2 დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ;

17.3 მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე განსაზღვრულ ვადებში.

## **18. სადავო საკითხების გადაწყვეტა**

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

18.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

18.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## **19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

19.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## **20. სხვა პირობები**

20.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცივდება მხარეთა შორის შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამზღვევთან და ერთი ეგზემპლარი მზღვეველთან.

## 20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის  
ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის,  
ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის  
მუნიციპალიტეტებსა და ქ. ახალციხის  
მუნიციპალიტეტში  
ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. #2  
ს/ნ 224067961, სახელმწიფო ხაზინა,  
კოდი - TRESGE22; ა/ნ 200122900;

მიმწოდებელი:

-----  
-----  
-----  
-----  
-----

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

\_\_\_\_\_ აკაკი მაჭუტაძე

\_\_\_\_\_

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_

საბანკო რეკვიზიტები: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_

ელექტრონული ფოსტის მისამართი: \_\_\_\_\_

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი \_\_\_\_\_



მომსახურების ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

№	ავტომანქანის მარკა, მოდელი	სახ. №	გამოშვების წელი	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	დაზღვევის სახე	დაზღვევის პერიოდი	1 თვის სადაზღვევო პრემია ავტოდაზღვევისთვის (ლარი)	1 თვის სადაზღვევო პრემია მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობაზე (ლარი)	1 თვის სადაზღვევო პრემია მძღოლზე და მგზავრებზე ავტოსაგზაო შემთხვევისას (ლარი)	სულ სადაზღვევო პრემია (ლარი) (პუნქტი 8+9+10-ის ჯამიX12 თვეზე)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	MERCEDES-BENZ G500	RR707SS	2002	13200,00	სრული	ხელშეკრ. გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით				
2	TOYOTA „CAMRY“	QQG 077	2010	19680,00	სრული					
3	TOYOTA LANDCRUIZER-100	HBH 040	2001	9072,81	სრული					
4	SKODA OQTAVYA	AA125CC	2013	22946,63	სრული					
5	SKODA OQTAVYA	AA126CC	2013	22946,63	სრული					
6	SKODA OQTAVYA	AA138CC	2013	22946,63	სრული					
7	SUZUKI SX4 R-Cross	AF885FA	2014	24790,00	სრული					
8	FORD FOCUS	XLX 010	2005	630,00	სრული					
9	NIVA „ვაზ21214“	ZJZ 919	2007	3814,50	სრული					
									<b>სულ ჯამი:</b>	

შენიშვნა: ნულოვანი ფრანშიზა

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_ ბ.ა.

თარიღი \_\_\_\_\_